საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 8

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

26 ივლისი 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. დავით ცხადაძე;

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **ამირან ვერულაშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის განცხადება (N29-29232071, 26.07.2023), რომელიც აცნობებს საკრებულოს წევრის ამირან ვერულაშვილის გარდაცვალების დღეს. აღნიშნული ფაქტი არის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

აზრი გამოთქვეს:
აზრი არავის გამოუთქვამს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. ვადამდე უნდა შეუწყდეს **ამირან ვერულაშვილს** საკრებულოს წევრის უფლებამოსილება გარდაცვალების გამო.

მუხლი 2. ამირან ვერულაშვილის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თარიღად განისაზღვროს მისი გარდაცვალების მომდევნო დღე-2023 წლის 20 ივლისი.

მუხლი 3. გაეგზავნოს წერილი N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიას, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 154-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის თანახმად წარმოგვიდგინოს პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის ამირან ვერულაშვილის ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრობის კანდიდატი.

მუხლი 4. კომისიის დასკვნა და განკარგულების პროექტი წარედგინოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბიუროს და საკრებულოს სხდომას ცნობისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: